ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 4-2

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ მიერ 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო შედგენის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N987), დაკავშირებით 2013 წლის 30 ოქტომბერს 17:00 სთ-ზე შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ საკონკურსო კომისიის სხდომა, საკონკურსო განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე - ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი (მოადგილე) - ამირან შაქარაძე;
გ) წევრი - ლევან სამსონაძე (მოწვეული);
დ) წევრი - გიორგი კაცაძე;
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი ხათუნა გოგუაძე.
გ) წევრი - შორენა ხუჯაძე- არ ესწრებოდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე (987) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;
განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (987) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ (ს/კ205286616).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს) შემოთავაზება.
ამასთან წარმოდგენილი იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:
1. ფასების ცხრილი - 5000 (ხუთი ათასი) ლარი;
2. ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო - 37 ესკიზი საერთო ფასით - წარმოდგენილის 5000 (ხუთი ათასი) ლარი, ნაცვლად ფაქტიური ღირებულებისა წარმოდგენილია 5000 ლარის განფასება თვითეულ კარებზე;
3. რეკვიზიტები;
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:
1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დიდი მოცულობისა და მოითხოვს დეტალურ ანალიზს, ამიტომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

/ავთანდილ დარჩია/
/ამირან შაქარაძე/
/ლევან სამსონაძე/
/გიორგი კაცაძე/